

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით.

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.	3-4
საქმიანობის შედეგები.	5-6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები.	9-14

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "NSC"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და რომელიც მომზადებულია „ფასს მსს“-ის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევაზე და მის თანმიმდევრულ გატარებაზე, ასევე გონივრული და წინდახედული მოსაზრებების და შეფასებების გაკეთებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები მას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- თაღლითობის და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ბუღალტერი



1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
	შენიშვნა			
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	24,331	96,083	41,676
სავაჭრო მოთხოვნები	2	22,081	55,308	77,602
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი				
მარაგები		618,005	736,874	370,601
- მზა პროდუქცია	3	618,005	736,874	370,601
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	4	976	1,429	855
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,256,478	1,306,299	1,288,763
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	14,943	14,943	14,943
სულ აქტივები		1,936,814	2,210,936	1,794,440
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	7	392,025	683,652	178,375
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	1,179	1,301	452
საგადასახადო ვალდებულებები	9	46,815	54,459	19,777
გამოუმუშავებელი შემოსავალი	10	8,823	1,134	6,698


შპს "NSC" - ის ს ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
 თანხები წარმოდგენილია ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება(გაგრძელება)

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	396,628	254,132	264,038
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	699,483	945,427	1,217,529
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	13	8,922	8,922	8,922
სულ ვალდებულებები		1,553,875	1,949,027	1,695,791
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		670,00,	670,000	670,000
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		287,061	408,091	517,351
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		382,939	261,909	98,649
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,936,814	2,210,936	1,794,440

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი



ბუღალტერი




2.საქმიანობის შედეგები

შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
ნეტო ამონაგები	4,088,141	4,250,940
საქონლის გაყიდვიდან 14	4,087,433	4,249,686
მომსახურების გაწევიდან 14	708	1,254
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,477,491)	(3,626,200)
საწყისი მარაგები	(736,874)	(370,601)
მარაგების შესყიდვა	(3,358,622)	(3,992,473)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	618,005	736,874
საერთო მოგება	610,650	624,740
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(270,133)	(268,856)
ცვეთა და ამორტიზაცია	(50,949)	(82,986)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(78,467)	(95,492)
იჯარის ხარჯი	(33,661)	(35,720)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 14	(19,934)	(25,517)
სულ საოპერაციო ხარჯები	(453,144)	(508,571)

შპს "NSC" - ს ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
 თანხები წარმოდგენილია ლარებში

საქმიანობის შედეგები (გაგრძელება)

საოპერაციო მოგება	157,506	116,169
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	15 (36,476)	47,091
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	121,030	163,260
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	121,030	163,260
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	121,030	163,260

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30
 სექტემბერს

დირექტორი



ბუღალტერი

შპს "NSC" - ს ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
 თანხები წარმოდგენილია ლარებში

3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	31/12/2018	31/12/2017
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	261,909	98,649
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	121,030	163,260
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	382,939	261,909

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი



ბუღალტერი




შპს "NSC" - ს ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
 თანხები წარმოდგენილია ლარებში

4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	146,534	485,956
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,136)	(98,740)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(216,544)	(330,370)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(71,146)	56,846
სავალუტო კურსის ეფექტი	(606)	(2,439)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	96,083	41,676
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	24,331	96,083

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

ბუღალტერი



5. განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “NSC” რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შ.პ.ს “NSC” დაფუძნდა 30.04.2012 წელს. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის Vმ/რ კორ.17 ბ.31, ოფისის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, სპ.კედლას ქ.10.

შ.პ.ს “NSC” -ს ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ლითონებით და ლითონის მადნებით.

შ.პ.ს “NSC” -ს დამფუძნებელია ფიზიკური პირი ნოდარ ინასარიძე 100%.

კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 17 თანამშრომელს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს მსს”) შესაბამისად ,რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (“ლარი”).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დაფუძნებულია მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად დაყოფის პრინციპით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ოპერაციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის მდგომარეობით(გაგრძელება)
თანხები წარმოდგენილია ლარებში

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული აქტივების და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი შესაბამისად . საკურსო სხვაობით მიღებული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ოფიციალური გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენდა 2.6468 ლარს და 1 ევროსათვის შეადგენდა 2,7940 ლარს.

ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენდა 2.5922 ლარს და 1 ევროსათვის შეადგენდა 3,1044 ლარს.

ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენდა 2.6766 ლარს და 1 ევროსათვის შეადგენდა 3.0701ლარს .

საკურსო სხვაობით მიღებული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით.

1. ფული და ფულადი ექვივალენტები.

დაყოფილია: ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
	ლარი	ლარი	ლარი
ფული საღაროში	20,011	89,391	898
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	4,320	6,692	40778
სულ	24,331	96,083	41676

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს დებიტორულ მოთხოვნებს, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპანიის აქტივს და წარმოიქმნება პროდუქციის მიწოდებით და მომსახურების გაწევით. მასში გაერთიანებულია ადგილობრივი და უცხოური კომპანიების დებიტორულ მოთხოვნებს.

3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აერთიანებს ისეთ აქტივებს, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, ასევე, განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ორგანიზაციი მიერ წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთის თანხებით.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებს და სხვა პირდაპირ ხარჯს.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს გადავადებულ საგადახდო აქტივებს.

7.სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აერთიანებს ყველა ადგილობრივ და უცხოურ კრედიტორს.

8. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

მოიცავს ვალდებულებებს საწარმო პერსონალის წინაშე და გადასახდელ ხელფასებს.

9. საგადახდო ვალდებულებები

საგადახდო ვალდებულებები აერთიანებს ყველა სახის საგადახდო ვალდებულებებს.

10. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელ შემოსავალში შეტანილია კლიენტების მიერ წინასწარ გადახდილი თანხა მომავალ პერიოდში მისაწოდებელი საქონლის ღირებულებისათვის. ამდენად, გამოუმუშავებელი შემოსავალი წარმოადგენს ავანსს და ასახულია ვალდებულებების ნაწილში.

11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები აერთიანებს ორგანიზაციის მიერ საბანკო დაწესებულებებიდან აღებულ იმ სესხებს, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები აერთიანებს ორგანიზაციის მიერ საბანკო დაწესებულებებიდან აღებულ იმ სესხებს, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია.

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებაში შეტანილია გადავადებული მოგების გადასახადი.

14. შემოსავლების და ხარჯები

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები მოიცავს საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს:

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის მდგომარეობით(გაგრძელება)
თანხები წარმოდგენილია ლარებში

	31/12/2018	31/12/2017
	ლარი	ლარი
1. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	4,087,433	4,249,686
2. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	708	1,254
სულ	4,088,141	4,250,940

ხარჯები მოიცავს დასაქმებულთა ანაზღაურებას, ცვეთა და ამორტიზაციას, საპროცენტო, იჯარის, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯს. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2018	31/12/2017
	ლარი	ლარი
1.კომუნალური ხარჯები	4,574	4,528
2. კომუნიკაციის ხარჯები	3,023	3,251
3. ბანკის ხარჯები	6,282	5,238
4. სარეკლამო ხარჯები	232	2,440
5. საგადასახადო ხარჯები	3,670	3,711
7. სხვა ხარჯები	2,153	6,349
სულ	19,934	25,517

15. კურსთშორისი სხვაობის წმინდა შემოსულობა/დანაკარგი

კურსთშორისი სხვაობის წმინდა შემოსულობა/დანაკარგის გაშიფვრა:

	31/12/2018	31/12/2017
	ლარი	ლარი
მოგება კურსთშორისი სხვაობიდან	21,476	65,203
ზარალი კურსთშორისი სხვაობიდან	57,952	18,112
კურსთშორისი სხვაობის წმინდა შემოსულობა/დანაკარგი	-36,476	+47,091

16. კომპანიის საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით.

ცვლილება კომპანიის წესდებაში, ასევე საწესდებო კაპიტალში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

გაუნაწილებები მოგება მოიცავს, როგორც მინდინარე , ისე წინა პერიოდების მოგება/ზარალს.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი შემდგომი მოვლენები,რომლებიც შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, არ მომხდარა.